KA030125378731918

№ 01-9784 **03 / მაისი / 2018 წ.**

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს
ქალბატონ სოფიკო ბელქანიას

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის ელზა ჯგერენაიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო სოფიკო,

გაცნობებთ, რომ თურქეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) მხარდაჭერით 2018 წლის 6-9 მაისს, სტამბულის ჰალიჩის კონგრესის ცენტრში (თურქეთი) იმართება მე-9 საერთაშორისო ოკუპაციური ჯანმრთელობისა და შრომითი უსაფრთხოების კონფერენცია. ღონისძიება მიზნად ისახავს ოკუპაციური ჯანმრთელობისა და შრომითი უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას, ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებას წამყვან აკადემიკოსებს, ექსპერტებს, უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებს შორის.

კონფერენციაზე შრომით უსაფრთხოებასთან ერთად განხილული იქნება პროფესიული დაავადებებისა და უბედური შემთხვევების პრევენციის 31 ქვეთემის საკითხები.

ხსენებულ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეული ვარ თურქეთში ქ. სტამბულში 2018 წლის 05 მაისიდან 11 მაისის ჩათვლით. ჩემთან ერთად კონფერენციას ასევე ესწრება შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენელი - ბექა ფერაძე. საერთაშორისო ტრანსპორტირების, თურქეთში ცხოვრების, კვებისა და კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯები ანაზღაურებული იქნება თურქული მხარის მიერ.

გთხოვთ, უზრუნველყოთ შემდგომი პროცედურების განხორციელება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: 4 გვერდი.

პატივისცემით,

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ელზა ჯგერენაია